# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 127 ხუთშაბათი, 11 ივნისი 1909 წ. № 127

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ხუთსტრიქონიანი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ტფილისი, 11 ივნისი

საბიუჯეტო-საფინანსო მოღვაწეობის განხილვის შემდეგ თუ გადავავლებთ თვალს სოციალურ კანონმდებლობის სფერას, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ მხრით მესამე სათათბიროს მეორე სესსიის მოღვაწეობა კიდევ უფრო უნაყოფო იყო.

რუსეთის სინამდვილემ, რუსის ხალხის მრავალტანჯულმა ისტორიამ წინ წამოაყენა ორი დიდი საკითხი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი საკითხი უმთავრესი ღერძი იყო იმ რევოლიუციონურ ქარიშხალისა, რომელიც რუსეთმა განიცადა ამ სამი წლის წინად. ჩვენ ვამბობთ აგრარულსა და მუშათა საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა თავს იდვა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ამ საკითხთა მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არაა ჩვენის მკითხველებისათვის; ვიტყვით მხოლოდ, რომ მათ მოუწესრიგებლად რუსეთი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს წინ, ვერ მოისვენებს, ვერ ჩადგება მშვიდობიან მოქალაქობრივ ცხოვრების კალაპოტში. ეს კარგად ესმოდათ პირველსა და მეორე სათათბიროთ და ამიტომაც ამ ორ საკითხისთვის მუშაობა დაისახეს უპირველეს მოვალეობად.

ჩვენ საზოგადოთ არა გვწამს, რომ პარლამენტმა შესძლოს აგრარულ საკითხის რადიკალური გადაწყვეტა, ვფიქრობთ აგრეთვე, რომ არც მუშათა კანონმდებლობის ფართო გზაზე დაყენება შეუძლია მას; მით უმეტეს რუსეთის პარლამენტს და მით უმეტეს მესამე სათათბიროს არ შეგვიძლია მოვთხოვოთ ასეთი გმირობა. მაგრამ მესამე სათათბიროს როლი ამ საქმეში იმდენად უკუღმართია, რომ ამის აღუნიშვნელად დატოვება შეუძლებელია.

ჯერ ერთი, ყურადღების ღირსი ისაა, რომ მესამე სათათბიროს პირველ სესსიას სრულიადაც არ გახსენებია ხსენებული საკითხები. გახსნის დროს უბრალო წახედურობით აირჩია აგრარული კომისია, მუშათა კომისია და მორჩა: მთელის წლის განმავლობაში არც ამ კომისიებს, არც თვით სათათბიროს კრინტი არ დაუძრიათ სოციალურ კანონმდებლობაზე და არაფერი არ გაუკეთებიათ ამ სფერაში. მეორე სესსიაში სურათი გამოიცვალა, მაგრამ როგორ? ფრიად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ აგრალურმა საკითხმა, ამ უდიდესმა საკითხმა რუსეთის ცხოვრებისა, სრულებით შემთხვევით, უცაბედათ წამოყო თავი გასულ სესსიაში. ოპოზიციასა და ოქტომბრისტებს შორის შეტაკება მოხდა ერთ-ერთ მთავარ საკითხის ჩარიცხვის შესახებ მორიგ საქმეებში. ერთი ასეთი საკ...თავანი უნდა უთოოდ გამხდარიყო მორიგ საქმედ, რადგან უამისოდ სათათბიროს სამუშაო შემოაკლდებოდა. რადგან ოქტომბრისტებმა არ მოისურვეს ოპოზიციის მიერ წამოყენებულის საკითხის ჩარიცხვა მორიგ საქმედ (ადგილობრივ სასამართლოების შესახებ) და რაკი სხვა არაფერი ჰქონდათ, ამიტომ გაიხსენეს მთავრობის-მიერ შექმნილი 9 ნოემბრის კანონი და შეუდგნენ იმის განხილვას. ასეთი შეტაკება, ასეთი შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, შეიძლება მეორე სესსიაც ისე გათავებულიყო, რომ კვლავ, როგორც პირველ წელიწადს, კრინტი არ დაეძრათ აგრარულ საკითხზე...

რა არის 9 ნოემბრის კანონი,—ამაზე მრავალჯერ გვქონია საუბარი მკითხველებთან და აქ აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი განხილვა არსებითად სრულიად მეტი იყო, რადგან იგი უკვე განხორციელებული იყო და უკვე ორი წელიწადია ასრულებს თავის გამანადგურებელ როლს. მიუხედავად ამისა, მეორე სესსიამ თითქმის ნახევარი თავისი დრო და ნახევარი ყველა სხდომებისა ამ უკვე მომქმედის კანონის განხილვა-დამტკიცებას მოანდომა. 9 ნოემბრის კანონი მთელი გეგმაა, რომლით მთავრობა ჰფიქრობს აგრარულ პრობლემის გადაწყვეტას რუსეთში. მისი დედა-აზრია—დანგრევა სათემო მიწათ მფლობელობისა და შექმნა წვრილ კერძო მესაკუთრეობისა მიწაზე. იმ რწმენით, რომ რევოლიუცია რუსის სოფელში იმიტომ გაჩაღდა, რომ სათემო მფლობელობა ხელს უწყობდა სოციალისტურ იდეების გავრცელებასა, მთავრობა მოურიდებლად და უსისტემოდ შეუდგა საუკუნოებით დამკვიდრებულ წესწყობილების დანგრევას. იმ რწმენით, რომ წვრილი კერძო მესაკუთრეობა საუკეთესო მტერი იქნება ხალხის კომუნისტურ მიდრეკილებისა მიწის საკითხშიო, მთავრობა შეუპოვრად შეუდგა კერძო მესაკუთრეობის შექმნას, რისთვისაც ხელი შეუწყო სოფლის ჩარჩ-წურბელებს მიწების შესყიდვის საქმეში. მოფიქრებულად და სისტემით გატარებული რეფორმა სათემო მიწათმფლობელობისა იქნება სასარგებლოც ყოფილიყოს, მაგრამ 9 ნოემბრის კანონი უაზრო დანგრევის მეტს ვერაფერს შესძენს რუსის სოფელს; ხოლო ის გარემოება რომ ამ რეფორმას თან არ მოჰყვა გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოებისათვის ზრუნვა, უარესად აწევს მდგომარეობას და ახლო მომავალში კიდევ უფრო აუტანელად გახდის გლეხობის ცხოვრებას... სათათბიროს მთელმა ოპოზიციამ, მათ შორის ს.-დ. ფრაქციამაც, თუმცა ს.—დ. პრინციპიალური მტერია სათემო მიწათმფლობლობისა, დიდის ენერგიით იბრძოლა 9 ნოემბრის კანონის წინაღმდეგ, დაანახვა ყველას, რა გამანადგურებელი, მავნე და ცალმხრივია მთავრობის აგრარული გეგმა, მაგრამ ვერას გახდა: მორჩილმა უმრავლესობამ თითქმის უცვლელად დაამტკიცა მთავრობის ქმნილება და ამით დაასრულა თავისი ზრუნვა სოფლისა და სოფლის მუშა ხალხისთვის...

მეტი ყურადღება მისგან არც ქალაქის მუშებს რგებიათ. ეგრედ წოდებულმა მუშათა კომისიამ ერთი უბადრუკი კანონპროექტი განიხილა ფინანსთა სამინისტროს უწყების მუშათა დაზღვევის შესახებ; დაამახინჯა ისიც იმნაირად, რომ სათათბირომ უკანვე დაუბრუნა და ბოლოს დიდის გაჭირვებით შეაკეთა, მაგრამ მაინც ფრთა-შეკვეცილი გამოდგა და სათათბირომაც ამ სახით მიიღო იგი. ამით დასრულდა მუშათა კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით მაინც...

ასეთი უნუგეშო და უნაყოფოა ახლად დასრულებულ სესსიის მოღვაწეობა სოციალურ სფერაში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივნისი

### ოსმალეთი

**ლონდონი.** „სტანდარტ“-ის სიტყვით, შემოდგომაზე სულთანი ინახულებს ევროპის სახელმწიფოებს. დეკემბრის პირველ რიცხვებში სულთანი ინგლისში იქნება.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ ევროპის სახელმწიფოებს კრიტოსის შესახებ ნოტა გაუგზავნა. ნოტაში ნათქვამია: სანამ სახელმწიფონი კრიტოსიდან ჯარს გაიყვანდნენ, ოსმალეთს, სახელმწიფოების თანხმობით, სურს კრიტოსის საქმის მოწყობა. კრიტოსის საქმე ავტონომიურ საფუძველზე უნდა მოეწყოს. ოსმალეთი არ შეურიგდება თავის უფლებების დარღვევას და იმას, რომ კრიტოსი რომელსამე სახელმწიფომ ჩაიგდოს ხელშიო. ეს ნოტა გაეგზავნება გერმანიას და ავსტრიას.

**სალონიკი.** რადგან ალბანიაში მასსიური არეულობაა და უფრო მეტსაც მოელიან, ამიტომ დაადგინეს შეჩერონ ჯევად-ფაშის ექსპედიციის მოქმედება. ჯევად-ფაშა 40 სახლის დანგრევის შემდეგ დიაკოვოში დაბრუნდა. ჯევად-ფაშა ემზადება მიტროვიცაში გადასასვლელად. ექსპედიციას გათავებულად სთვლიან.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატი ლინჩი მთავრობას შეეკითხა: ოსმალეთის მთავრობამ ითხოვა თუ არა, რომ ინგლისის რაზმი კრიტოსზე დარჩეს და რას ჰფიქრობს მთავრობა, დასტოვებს რაზმს თუ არა, რადგან საქმის ვითარება ცუდ მიმდინარეობას იღებსო. გრეიმ ამის შესახებ განაცხადა: მე არ ვიცი, მთავრობამ მიიღო ოსმალეთისგან ასეთი თხოვნა თუ არა; რაც შეეხება იმას, მთავრობა დასტოვებს თუ არა ჯარს კრიტოსზე, მთავრობას არა აქვს საბუთი არ აასრულოს ის დაპირება, რომელიც მან კრიტოსის მცხოვრებთ ერთი წლის წინად მისცა. მთავრობა არა ჰფიქრობს, რომ იყოს მიზეზი ამ გადაწყვეტილების გადასინჯვისა: განზრახულია კრიტოსის წყლებში გემები დავტოვოთ, რომ მათ დაიცვან ოსმალეთის ბაირაღი მშვიდობიანისა კუნძულზე და აგრეთვე უზრუნველჰყონ მაჰმადიანები.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. პალატის შეკითხვაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა: ალბანიის ზოგ ადგილში 14 აპრილის ამბების შემდეგ რეაქციონური მოძრაობა დაიწყო, მცხოვრებნი უარს ამბობდნენ გადასახადების გაღებაზე, ერეკებოდნენ ხარჯის ამკრეფებს, მეჩეთებში არ იხსენიებდნენ ახალ სულთანს და სხვა. ამიტომ ალბანიაში გაიგზავნა ჯევად-ფაშის ექსპედიცია, რომელმაც დასაჯა დამნაშავენი და მშვიდობიანობა დაამყარა. მინისტრმა წაიკითხა ჯევად-ფაშის დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ ჩემი მოვალეობა ავასრულე და საქმე ბოლომდის მივიყვანეო. ამის შემდეგ პალატა შეუდგა მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვას. კომისიის მომხსენებელმა ჯავიდ-ბეიმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან გაჰკიცხა ეხლანდელი საფინანსო სისტემა, თამბაქოს მონოპოლიის მართველობა და საერთაშორისო სასანიტარო საბჭოს, რომელიც სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენს და მცხოვრებთაგან გადასახადს იღებს. გაჰკიცხა აგრეთვე სახელმწიფო ვალების გამგეობა, რომელიც, მომხსენებლის სიტყვით, ბოროტად სარგებლობს მონოპოლიებით. დასასრულ, ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ უცხოეთის ქვეშევრდომებიც გადაიხდიან ხარჯს, რომლისაგანაც ეხლა განთავისუფლებულნი არიანო. მომხსენებლის სიტყვას პალატამ ტაშით მიეგება. პალატამ დაადგინა, დაბეჭდოს ეს სიტყვა და ქალაქის თვით-მმართველობებში გააგზავნოს.

### სპარსეთი

**თეირანი.** თეირანში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია იმის გამო, რომ კუმს ბახტიარები მოუახლოვდნენ და ტალაგანში კიდევ კავკასიელი რევოლიუციონერები გაჩნდნენ. ინგლის-რუსეთის კონსულის და სპარსეთში რუსის ჯარის შესვლის წინაღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან. ისპაჰანის ინგლისის კონსულს ბრძანება მოუვიდა ბახტიარები უკან დააბრუნოს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: სერდარი ასადი, რომელსაც კავშირი ჰქონდა კაზვინელ რევოლიუციონერებთან, 900 კაცით ისპაჰანში წავიდა. შაჰის მოხელეთა შორის დიდი შიშია.

### საზღვარ-გარეთ.

**ბუდაპეშტი.** ვენაში იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიიღო ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე. ვეკერლემ სამინისტრო კრიზისის გადასაწყვეტად შემდეგი გადასცა იმპერატორს: პარლამენტი იანაზმაა სამხედრო საჭიროებისთვის ბიუჯეტი გაადიდოს, რაშიაც ჰუნგრეთს ეროვნულ საკითხში უნდა დაეთმოს. იმპერატორმა არ შეიწყნარა ეს წინადადება. ამის შემდეგ ვეკერლემ იმპერატორს სთხოვა, მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობიდან გამანთავისუფლეთო. იმპერატორმა სურვილი გამოსთქვა, რომ ეხლანდელი სამინისტრო რამდენსამე დღეს კიდევ დარჩეს.

**კოპენჰაგენი.** დაიწყო საერთაშორისო სალიტერატურო და სამხატვრო კავშირის მე 39 კონგრესი.

### რუსეთი

**მოსკოვი.** გრ. დონბალენკომ გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება: აკრძალულია ისეთი წერილებისა ან ცნობებისა გავრცელება, რომელიც მცხოვრებთ მთავრობის წინაღმდეგ ამხედრებს; აკრძალულია გავრცელება ავკვეთილ წიგნებისა, საჯაროდ ქება-დიდება ბოროტ-მოქმედებისა, მთავრობის დაწესებულებათა და ჯარის შესახებ ტყუილ ცნობების გავრცელება. ვინც ამ სავალდებულო დადგენი...


# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

## სახაზინო თეატრი

შაბათს, 13 ივნისს

ავადმყოფ მსახ. ს. სვიმონიძის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## სად მივალ?

დრამა 5 მოქმედებათ ხოზოლშჩიკოვ-სამარინისა, თარგმანი აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებს მთელი ამხანაგობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ ს.

(5—3)

დილის წარმოდგენა

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 14 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

## ავაზაკები

ტრაგ. 5 მოქ. ან. ფურცელაძისა.

(სცენები ტატო წულუკიძის ცხოვრებიდან).

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ჯაბაურისა, რჩეულოვი, მარგველაშვილი; ბ-ნნი ჯაბაური, ევდოშვილი, გულბურაშვილი, რევაზოვი, დეკანოზოვი, სალაყაია. ან შვილი, ინაშვილი, გარსევანაშვილი, ხანდოელი, ჭანკვეტაძე, საყვარელიძე, ალექსაშვილი და სხვანი. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი სწორედ შუადღის 12 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები გაიყიდება თიატრის კასაში ყოველდღე დილით 10—12 ს. და საღამოთი 5—7 ს.

რეჟისორი გ. ჯაბაური. (3—6.—2) გამგე გ. დეკანოზოვი.

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასაყიდად დაურიგდათ წიგნის მაღაზიებს

ვასილ ყიფიანის

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ფასი 40 კაპ.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ. ფულის მაგიერ მარკებიც შეიძლება გამოიგზავნოს.

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—98)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 84)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—166)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

საზოგადოება „განათლება“ ამით აუწყებს, რომ კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საზოგადოების წლიური კრება.

განსახილველი საგნებია:

1. გამგეობის მოქმედების მოხსენება.
2. ზედამხედველის მოხსენება.
3. სავარაუდო ხარჯი..
4. არჩევნები საპატიო და გამგეობის წევრებისა. (4—1)

14 ივნისიდან გამოდის იუმორისტულ-კარიკატურებიანი ჟურნალი

## მათრახი და სალამური

ჟურნალი სისტემატიურად ყოველ კვირაობით გამოვა.

ჟურნალის ფასი მთელი წლით 5 მ. ნახევარი, წლით—2 მ. 50 კ., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი—10 კ.

მიიღება ხელის მოწერა. ვინც წლის ბოლომდე გამოიწერს და ამ თავითვე გამოჰგზავნის 2 მ. 50 კ., პრემიად გაეგზავნება ალმანახ „სალამურის“ გამოსული მეიდი ნომერი.

ფული და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Шрома“, русс. ул. N 3. Θеофилу Ерастовичу Болквадзе.

გაიყიდება შაბათ საღამოს 13 ივნისს „შრომი“-ს სტამბაში. (3—6.—2)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნაშუადღ. საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექაძისა. (წლ.—6.—70)

დაბა ახალ-სენაკში ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—8)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—81)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10½—11½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ახპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ჩერნიავსკაია—ბებიისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—47)

ლებას დაარღვევს, ჯარიმა დაედება 500 მანეთამდე ან სამი თვემდე დაპატიმრებულ იქნება.

**ჰელსინგფორსი.** მანიიხამნში, აბობერნებორგის გუბერნიაში, ხოლერიანი აღმოჩნდა. ეს კაცი პეტერბურგიდან ჩამოვიდა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 61, გარდაიცვალა 15 კაცი.

**რიგა.** უსტ-დვინის ციხეში მოსამსახურე სალდათმა ცულით თავი მოსჭრა პოდპორუჩიკ ერშინს, მოჰკლა მისი ცოლი და სიდედრი. გადარჩა ძუძუ-მწოვარა ბავშვი. ბოროტ-მომქმედი მიიმალა.

**გროდნო.** ლიუბიშჩიცთან ნახეს ჟანდარმ დომანკოს გვამი. გამოირკვა, რომ ჟანდარმი საგზაო ხელოსანის შთაგონებით მოუკლავს ექვს გლეხს. ექვსივე გლეხი დააპატიმრეს.

**კიევი.** რადომისლის მაზრაში ყაჩაღებმა მოჰკლეს 6 მგზავრი, რომელნიც კოჩეოვოში მიდიოდნენ. გადარჩა ორი მგზავრი.

**ნოვოჩერკასკი.** 8 ივნისს მოვიდა სომეხთა კათოლიკოსი იზმირლიანი. ამავე დღეს საღამოთი კათოლიკოსი დონის-როსტოვში წავიდა. ნახიჩევანში კათოლიკოსს სადგურზე დაუხვდნენ სომეხთა კოლონიის წარმომადგენელნი.

**ოდესსა.** ახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებმა აირჩიეს: ვაჭართა სამმართველომ—კრუპკოვსკი, სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტმა—ზეინშტეინი, საბირჟო კომიტეტმა—კოტლიარევსკი და გაზეთ „სლოვოს" გამომცემელი ფეოდოროვი.

**ნოვოჩერკასკი.** სოფ. გულიაი-ბორისოვკაში უცნობებმა გასძარცვეს ფოსტის განყოფილება. წაიღეს 9000 მანეთი. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

# ჟურნალისტის დღიური

## 3.

### თავად-აზნაურთა კრებაზე

კვირის სხდომაზე თავად-აზნაურთა კამათმა ფრიად საყურადღებო ხასიათი მიიღო. ხარჯთ-აღრიცხვაში მოქცეულია რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც თელავისა და გორის პროგიმნაზიებს და ზოგიერთ საშუალო სასწავლებელს უნდა მიეცეს. ხარჯთ-აღრიცხვის ამ მუხლებმა დიდი კამათი გამოიწვია. ეს კამათი ძალიან დამახასიათებელია თავად-აზნაურთა ერთის ნაწილის სულის კვეთებისა.

ჯერ ისევ შარშანდელ კრებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი პროვინციის პროგიმნაზიების შესახებ. ოპოზიციის ორატორებმა მაშინაც აღნიშნეს, რომ სახაზინო ტიპის პროგიმნაზია-გიმნაზიები გამოუსადეგარია ჩვენის ხალხისათვის, გამოუსადეგარია იმიტომ, რომ იგი არც ჩვენისთანა პირობებში მყოფ ერისთვის საჭირო ცოდნას იძლევა და ქართველ ხალხის გადაგვარების საქმესაც ემსახურებაო. ექიმმა გ. მაღალაშვილმა ბრძანა, იმ პროგიმნაზიებიდან ფსიხიურად გარყვნილი მოსწავლენი გამოდიანო. პედაგოგიური ჭეშმარიტებაა! განა შესაძლებელია ნორმალურად აღზრდილი მოსწავლე გამოვიდეს ისეთს სასწავლებლიდან, სადაც ელემენტალური მოთხოვნანი პედაგოგიისა დაცული არ არის,—სწავლა მოწაფეებისთვის გასაგებ ენაზე არა სწარმოებს? ეროვნულის თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს თუ პედაგოგიურის, ხსენებულ ტიპის პროგიმნაზიების გავრცელება სასურველად არ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ იქნება რაიმე პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს პროგიმნაზიების გავრცელებას?

ყველას ძალიან კარგა მოეხსენება, რომ არა პროგიმნაზია, გიმნაზიაც კი არ იძლევა დამთავრებულს ცოდნას. გიმნაზიაში სწავლა დასრულებული თუ უნივერსიტეტში არ წავიდა, ყოველნაირ საქმისთვის გამოუსადეგარი ხდება. პროგიმნაზიაში კურს დამთავრებული თუ ვერ შევიდა გიმნაზიაში ხომ სრულიად უბედურ ადამიანად უნდა ჩაითვალოს: ხალხისთვისაც გამოუსადეგარი იქნება და თავის თავისთვისაც. ამ ჟამად ცოტად თუ ბევრად მოზრდილი დაბაც კი პროგიმნაზიას აარსებს. სად უნდა წავიდეს ამოდენა მოსწავლე ახალგაზდობა? არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გიმნაზიაში შესვლას და კურსის დასრულებას ყველა იმათგანი მოახერხებს. დიდი ნაწილი ამ მოსწავლეებისა, უეჭველია, შუა გზაზე დარჩება. მაგრამ, ვთქვათ, ყველამ გაათავა გიმნაზია. განა ამ შემთხვევაში მაინც რამეს იგებს ქართველი საზოგადოება, თუ საქმეს პრაქტიკულის მოსაზრებით შევხედავთ? სრულიად არაფერს. რაც მეტი დრო მიდის, ქართველებს სამსახურში აღარ იღებენ თავიანთ ქვეყანაში. ჯერ ეხლაც კი აუარებელი კურს დამთავრებული ქართველი დადის უსაქმოდ და გლახასავით ხელგაშვერილი სამთუმნიან ადგილსა თხოულობს. რაკი დაინახავენ, რომ სამშობლოში ადგილს ვერა შოულობენ, დაჰკრავენ ფეხს და რუსეთში ამოჰყოფენ თავს. ასეც იქცევიან, რაც უფრო მეტი მიდის, რუსეთში იმდენად უფრო იზრდება ქართველთა რიცხვი. აუარებელი ქართველი რჩება რუსეთში, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ სამშობლოში შიმშილით დაიხოცებიან. რამდენადაც გავრცელდება ჩვენში სახაზინო ტიპის სასწავლებლები, გახიზვნა სამშობლო მხარიდან იმდენად უფრო გაიზრდება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთშიაც მალე ადვილი არ იქნება ადგილის შოვნა. მერე განა სასურველი ჩვენთვის ასეთი გახიზვნა? რასაკვირველია არა. მიუხედავად ამისა, თავად-აზნაურობა მაინც აძლევს სუბსიდიებს ასეთს პროგიმნაზიებს. რითი უნდა აიხსნას ასეთი გულუხვობა? მხოლოდ იმითი, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა „ჩინოვნიკების" სულითაა გაჟღენთილი. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება და ესევე თავად-აზნაურები, როგორც მშობლები, მხოლოდ მოხელეობას შესტრფიალებენ. ეს სიყვარული მოხელეობისადმი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი.

სიტყვით ხშირად გვესმის, მაგრამ საქმით არავითარ ეროვნულ მოსაზრებით არა ხელმძღვანელობს თავად-აზნაურობა. ეროვნულის მოსაზრებით რომ ეხელმძღვანელნათ, მაშინ ფულს სულ სხვა დანიშნულებას მისცემდნენ. მართალია, კულტურულ დაწესებულებებით ღარიბები ვართ, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ არაფერი მოგვეპოვებოდეს. გვაქვს ისეთი დაწესებულებები, რომელნიც ხალხურ საქმეს ემსახურებიან. ამ დაწესებულებებისადმი თავად-აზნაურობა ასეთს გულ-უხვობას არასოდეს არ იჩენს ხოლმე. ბ-ნმა გ. დიასამიძემ სთქვა, ფული პირველ-დაწყებით განათლებას უნდა მოხმარდეს, რადგან ერი მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როდესაც ხალხი კულტურულად და ქონებრივად ღონიერიაო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მეტია, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, წმინდა ეროვნულ ინტერესების დამცველად ვერ გამოვა. თავად-აზნაურობა ფულს არ გაიმეტებს გლეხების აღსაზრდელად იმ უბრალო მოსაზრებით, რომ იგი თავად-აზნაურობაა.

მაგრამ თავად-აზნაურობა ვერც თავის სასარგებლო საქმესა ჰხედავს. თავად-აზნაურობა მიწით-მფლობელი და მიწათ-მოქმედი წოდებაა. მხვილ თავად-აზნაურობას რომ თავი გავანებოთ, მრავალი წვრილი აზნაურობაა, რომელიც არსებობისთვის ბრძოლაში დღეს სამეურნეო ცოდნა საჭიროა. ამ საგანზე იმდენი რამ დაწერილა, რომ სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარც-კია. თავად-აზნაურობის ხელმძღვანელნი-კი სრულიად სხვა გზით მიდიან. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ისეთს სასწავლებლებს, რომლებიც პირდაპირ ამ თავად-აზნაურობის ინტერესებს ემსახურება და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს პროგიმნაზიებს ახმარებს.

კვირის სხდომამ ნათლად გამოარკვია, რა ნიადაგზედაც სდგას თავად-აზნაურობის ის ნაწილი, რომელიც ფაქტიურად აწარმოებს თავად-აზნაურების საქმეს. როდესაც ოპოზიციამ პრინციპიალურად დააყენა საკითხი, მოწინააღმდეგეებმა შესძახეს, პრინციპიალურ საკითხების გარკვევა ეხლა შეუძლებელიაო. მაშ როდისღა უნდა გამოირკვეს საკითხი? თავად-აზნაურებს წელიწადში ერთხელ ეძლევათ საშუალება თავიანთ აზრის გამოსათქმელად, და ისინიც სარგებლობენ ამით. ესეც რომ არ იყოს, ოპოზიცია არც ასე ღრმად აყენებდა საკითხს, როგორც ეს მოწინააღმდეგებს ეგონათ. უმთავრესი აზრი ოპოზიციისა ის იყო, რომ ფული წმინდა ეროვნულ დაწესებულებებს მოხმარებოდა, ან ისეთს დაწესებულებებს, რომელთა სრული ბატონპატრონებიც თვითონ ქართველები არიანო. ეს მარტივი აზრი ოპოზიციის მოწინააღმდეგეებმა ისე მიიღეს, თითქოს ორატორებს მთლად არსებულ სამოსწავლო სისტემის წინააღმდეგ გაელაშქრათ.

საკითხი უკვე გადაწყდა. თავად-აზნაურობამ მისცა ფული პროგიმნაზიებს. გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. თუმანიშვილმა ხუთასი მანეთიც კი წაუმატა, რაკი დაინახა, რომ თავად-აზნაურობამ სესხი რამდენიმე ათას მანეთით გაადიდა. მიუხედავად ამისა, გულხელის დაკრეფა მაინც არ შეიძლება. ოპოზიციამ ძალა უნდა მოიკრიბოს და შემდეგში ფულის განაწილების საქმე უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე დააყენოს. **შინაური.**

# ტფილისიდან ჯულფამდე

### ერთის თვალის გადავლებით.

(მგზავრის წერილები*)

გუმბრი (ალექსანდროპოლი) მოზრდილი ქალაქია, ოც-და-ათ ათასზე მეტი მცხოვრები იქნება. შორიდან საკმაოდ ლამაზი მოსჩანს, აქაიქ გუმბათიანი ეკლესიაც ამშვენებს ქალაქს, მაგრამ ახლო რომ მიხვალ, ხელში შეგრჩება მოუკირწყლავი ქუჩები, სადაც წვიმის დროს გაუვალი ტალახი ჩნდება თურმე, და ქოხმახები. ათიოდ გვარიან სახლი საერთო სურათს, რასაკვირველია, ვერა სცვლის. რკინის გზის სადგური და სხვა მისი შენობანი კარგა და რიგიანადაც არის მოწყობილი.

გუმბრი შეუერთდა რუსეთს 1828 წელს თურქმინჩაის ხელ-შეკრულობით, ხოლო 1829 წელს, ანდრიანოპოლში დადებულ ზავის შემდეგ, გუმბრში გადმოსახლდნენ ოსმალეთიდან სომხები. 1837 წელს რუსებმა აქ გააშენეს ციხე, რომელსაც ალექსანდროპოლი დაარქვეს და მას შემდეგ ეს სახელი ოფიციალურად მთელ ქალაქზე გადავიდა. თავდაპირველად გუმბრი „საქართველო-იმერეთის" გუბერნიის სამაზრო ქალაქი იყო და მხოლოდ 1850 წელს ერევნის გუბერნიას შეუერთეს.

გუმბრის ირგვლივ, როგორც ვთქვით, ხელის გულივით ტიტველი მინდვრებია, მშვენიერი საძოვრები და სახნავ-სათესით. ამიტომ რძე აქ იაფია და კარგის თვისებისაც. გუმბრს დასავლეთით ჩაუდის მდ. არპაჩაი, რომელიც გამოდის არპალელის ტბიდან. არპალელეში ირგვლივ მდებარე მთებიდან ბევრი ნაკადული ჩამორბის. არპაჩაი ჯერ აღმოსავლეთით მიმდინარეობს, შემდეგ სამხრეთით ბრუნდება და ჩამოდის გუმბრზე. გუმბრიდან არპაგელის ტბამდე, პირდაპირ რომ გავზომოთ, 40—45 ვერსი იქნება.

არპალელის ტბა დიდი არ არის, რამდენიმე ვერსი იქნება სიგრძე-სიგანით. იმის დასავლეთით საკმაო დიდი მთებია, რომლის მეორე მხარესაც გაშლილია მოზრდილი ტბა პალაკაციო, რომელსაც ოც ვერსამდე სიგრძე ექნება ჩრდილოეთის მხრივ და ათ ვერსამდე სიგანე. სამხრეთით კი ტბა თან და თან ვიწროვდება. ამ ტბას ეხლა ჩალდირ-გელს ეძახიან.

ამ ორ ტბის ირგვლივ არე-მარეს ძველად აბოცი ერქვა და შეადგენდა ჯავახეთის სამხრეთ კუთხეს. აბოცის აღმოსავლეთის საზღვარს შეადგენდა ის მთა, რომელშიაც ახლა დიდი გვირაბია გაყვანილი და რომელსაც ძველად ირჯანის მთა ანუ ყარაღაჯი ეწოდებოდა. ამ მთის აღმოსავლეთით, როგორც წინად მოვიხსენიეთ, ბამბაკის საკმაო ფართო და დასახლებული ხეობაა გაჭიმული. ამ ხეობას ძველად ტაშირი ერქვა. ესეც უკანასკნელი კუთხე იყო ქართლის მიჯნაზე.

ეს ორი პროვინცია, აბოცი და ტაშირი, ვახუშტის საქართველოს ნაწილად მიაჩნია. იგი ამბობს: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართულის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა ზნითა ქართულითა". **)

სწორედ ამ ორ, პურითა და პირუტყვით საკმაოდ მდიდარ, პროვინციის სამხრეთით გასასვლელ კართან იყო გაშენებული გუმბრი და უეჭველია ძველიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი იქნებოდა როგორც სავაჭროდ, ისე სტრატეგიული მხრივ. გუმბრს დღეს უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გუმბრიდან ჯერ მდ. ბამბაკის და შემდეგ ბედრუჯის ხეობით ადვილი გასასვლელია ქართლ-კახეთში, ხოლო არპაჩაის ხეობით ჯავახეთის მდინარის ხეობამდე და იქიდან ახალქალაქით მტკვრამდე, შემდეგ ახალციხემდე და ბორჯომამდე. გუმბრიდან სამხრეთ-დასავლეთით გზა მიდის ყარსისაკენ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ერევნის და ჯულფისაკენ. ამ ნაირად გუმბრი შესაყრელი გზაა ტფილის-ყარსის, ტფილის-ერევნის, ერევან ახალ-ციხის და ყარს ახალ-ციხის შორის. ტფილისა, ბორჯომსა და გუმბრს შუა სწორი ხაზი რომ გავატაროთ, მივიღებთ წოწლოკინა, გვერდებ სწორ სამკუთხედს. თავში გუმბრი იქნება, ძირს, იქით-აქეთ, ტფილისი და ბორჯომი. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ მთავრობა ბორჯომიდან გუმბრამდე რკინის გზის გაყვანას აპირებსო. მაშინ ორის მხრივ შესაძლებელი იქნება ერთსა და იმავე დროს გუმბრში ჯარის ჩაყვანა. ამ ჟამად გუმბრში საკმაო ჯარი სდგას, როგორც კავალერია და არტილერია, ისე ქვეითი.

დავიძარით გუმბრიდან. ყარსისა და ერევნის გზები აქ ტყუპად მიიმართებიან. გავიარეთ რამდენიმე ვერსი და ყარსის გზამ მარჯვნივ მოუხვია, ჩვენ კი არპაჩაის ნაპირებს გავყევით. ირგვლივ არე მარე მწვანე ჯეჯილითა გადაბიბინებული. მივაღწიეთ იმ ადგილამდის, სადაც ყარს-ჩაი და არპაჩაი ერთდებიან და ბუნებასაც შესამჩნევი ცვლილება დაეტყო. გაჰქრა მწვანე ველ-მინდვრები, სამაგიეროდ გაჩნდნენ ხრიოკი მთა-გორები. გუმბრს მისდევს სადგური აგინი, რომელიც ზღვის ზედა პირიდან 674 საჟენის სიმაღლეზე; ცოტად მაღალია კარაკლისზე, მაგრამ გუმბრზე 37 საჟენით დაბალია. ამ ადგილამდი სოფლებიც ხშირია, მიწაც დამუშავებული, აქა-იქ სოფლებში პატარა ხეებსაც მოჰკრავ თვალსა, მაგრამ ქვემოდ კი ზედი-ზედ სამი სადგური—ანი, ალაგეზი და კარაბურუნი სადგურ არაქსამდე, 65 ვერსის მანძილი, ღმერთმა დაიფაროს! არა მგონია სადმე კიდევ მოიძებნებოდეს ამ ადგილზე უფრო მწირი და მოსაწყენი რამ. უნდა შევნიშნოთ, რომ კარაკლისიდან აგანამდე თითქმის სულ სომხობა სახლობს, აქედან კი ეს ხრიოკი და ვერანი ადგილები ქურთებს დაუჭერიათ.

ტფილისში ხშირად შემხვედრიან მეეზოვე ქურთები. მიკვირდა მათი აშკარა ჩამორჩენა და უხალისობა წინ მსვლელობისადმი. ერთმა, როდესაც უთხარი—წერა-კითხვას გასწავლი მეთქი, გადაჰკრით მითხრა: არა არ მინდა, წერა-კითხვა რა საჭიროაო. მაშინ მიკვირდა, მაგრამ როცა თვალი მოვავლე იმ ადგილებს, სადაც ისინი სცხოვრობენ, დავრწმუნდი, რომ აქ დაბადებულ და გაზდილ კაცს მეტი ვერაფერს მოსთხოვ. მაღლა აიხედავ—მზე, თუ მზიანი დარია, დაბლა დაიხედავ—ქვა, განზე გაიხედავ—კლდე, მარჯვნივ—ქვა, მარცხნივ—ქვა, ახლო—ქვა და შორს—ქვა... ალაგ-ალაგ ხავსივით რაღაც ჯაგრის მსგავსი, გამხმარი ბალახი ამოჩხირულა გულსაკლავად ლოდებს შუა. მცენარე ხომ არ არის და არ არის. ეძებ თვალით სადმე ან წყაროს, ან მდინარეს—შენც ნუ მომიკვდები. მაგრამ აი, რაღაც ხიდივით მოსჩანს. მართლაც ხიდია, მკვიდრად და ლამაზად გაკეთებული. გიხარიან, წყალს დავინახავო და თვალებს სჭყეტავ, მაგრამ იმედი გიცრუვდება: ხიდზე მართლა გადიხარ, მაგრამ წყალს კი ხიდ ქვეშ, წამლად რომ გინდოდეს, ერთს წვეთსაც ვერ იპოვნი. აქ წყალი მხოლოდ ნიაღვრის დროს მიდის ერთი-ორი საათით, სხვა დროს მდინარის მაგივრად მშრალი კალაპოტია პირ-დაღებული. უწყლო მდინარე ხომ იგივეა, რაც უფულო ქისა...

ეტყობა გარეშეა, ამ ადგილებში, როგორც სხვაგან კავკასიაში, ერთ დროს წყალი იდგა. ალაგ-ალაგ აქ შეჰხვდები საინტერესო სხვა და სხვა ზომის, ქვაბივით ჩაღრმავებულს; ზოგს რამდენიმე ვერსი სიგრძე-სიგანე აქვს, ზოგსაც რამდენიმე ათეული საჟენი. ეს ჩაღმავებულები სხვა და სხვა ზომის ქვებითაა ამოხორგილი, რაც ნათლად ამტკიცებს, რომ ეს ადგილები დამშრალი ტბის ძირებია. კარგად რომ დაუკვირდები მათ მიდამოს და მოხაზულობას, ასე გეგონება, ახლა ხან იდგა აქ წყალიო. ქვებიც შორიდან ჯერ კიდევ სველი მოგეჩვენება. ნამდვილად კი, ადვილად შესაძლებელია, მილიონი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ წყალი იდგა. მხოლოდ სხვა და სხვა მიზეზისა გამო ნიადაგი და მცენარეულობა ვერ გაჩენილა და ასე ხრიოკად დარჩენილა. მიუხედავად ალაგ-ალაგ საკმაო მაღალ, რა თქმა უნდა, მიწის და ხრიოკ მთებისა, ეს ადგილები გაგრძელებაა გუმბრის ზეგანისა. ზეგანი თან და თან დახრილია სამხრეთისაკენ. სადგურიანი, მაგალითად, 662 საჟენის სიმაღლეზეა ზღვის ზედაპირზე, ალაგეზი—587-ზე, კარაბურუნი 510, ხოლო არაქსი 422-ზე.

მივდივართ. შევყურებ ამ ერთფეროვან მოსაწყინარ ბუნებას, ამ მშრალ ქვებს და ასე მგონია, მთვარეზე ვარ მეთქი. ვიცი კი, რომ ამ არემარეშიაც სცხოვრობს ადამიანი. თვალს მოჰკრავ ადამიანის ქოხმახებს ზოგან შორს რკინის გზის ლიანდაგიდან, ზოგან ახლო ვხედავ ამას და უნებურად ვეკითხები ჩემ თავს. უეჭველია, ამ კუთხეში ადამიანი ცხოვრობს, კბილები და კუჭიც, დარწმუნებული ვარ, ექნება, მერე ნეტავ, თავს რითი ირჩენს? არა მგონია, რომ ამ შავი ქვების ჩახრამუნებით იმტკბარუნებდეს პირს. მაგრამ ქვეყანა განგებას არც ისე უპატრონოდ მიუგდია. აი მარჯვნივ ქვებით ჩახორგილი ჩაღრმავებულია. იმის გვერდით საკმაოდ მოზრდილი ფერდობი სჩანს. ქვა აქაც საკმაოა, მაგრამ რაღაც ბალახის მსგავსიც ამოჩხირულა აქა-იქ. ამის აქ თამამად მინდორი დაერქმევა. თუმცა გულის

*) იხ. „დროება", N 116.

**) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 46.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ კურსების აკრძალვა.** როგორც ვწერდით, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა ზაფხულობით ტფილისში გამართოს მასწავლებელთა საზაფხულო კურსები. ვწერდით იმასაც, რომ გამგეობამ შეიმუშავა პროგრამა, გადასდო 600 მან. და საზოგადოდ ყველაფერი დაამზადა. კურსები უნდა გამართულიყო ქართულ გიმნაზიის სადგომში. მაგრამ, ადმინისტრაციისაგან მოწერილობა მოვიდა რომლის ძალითაც ეს კურსები აიკრძალა. გამგეობას იმედი აქვს, რომ მომავალ წელს მაინც მოაწყობს კურსებს.

**✦ ტრამვაის შესახებ.** როგორც გავიგეთ, ბელგიის უსახელო საზოგადოება თანახმაა იმ პირობებისა, რომელიც ქალაქის საბჭომ 8 ივნისის სხდომაზედ მიიღო. სხვათა შორის ამ პირობის ძალით ნაძალადევის რკინის გზის გასაყვან ვადად 1911 წელი დაიდო.

**✦ ვითომ ქართული თეატრი.** 13 ივნისს ქართველ მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს მართავს ავადმყოფ მსახიობის ს. სვიმონიძის სასარგებლოდ. რადგან ქართული თეატრი აღებული აქვს მალოროსიულ დასს, ამიტომ წარმოდგენა სახაზინო თეატრში გაიმართება, ხოლო რეპეტიცია დანიშნეს ქართულ თეატრის ფოიეში. 10 ივნისს 1909 წ. რეპეტიციის დროს ქართველ მსახიობებს აუკრძალეს რეპეტიცია და დაითხოვეს. მსახიობნი, რა თქმა უნდა წავიდნენ. ეხლა მაინც დარწმუნდნენ ურწმუნო თომანი, რომ ქართული თეატრი მხოლოდ სახელითაა.

**✦ საღამო წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.** როგორც ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ, იქაური ქართველობა 28 ივნისისთვის აპირებს საღამოს გამართვას წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

**✦ „განათლების" საზოგადოების წლიური კრება.** კვირას, 14 ივნისისთვის, დანიშნულია წლიური კრება „განათლების" საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს გამგეობისა და ზედამხედველის მოხსენებანი და ხარჯთ-აღრიცხვა. მოხდება არჩევნები საპატიო და გამგეობის წევრებისა. კრება მოხდება სამეურნეო ბანკის დარბაზში და დაიწყება დილის 11 საათზე.

**✦ ტრამვაი ვაკეზე.** ექზარხოსის [illegible] გეობას, რადგან შემოდგომიდან სასულიერო სემინარია ვაკეზე ახალ შენობაში გადადის ამიტომ ტრამვაი წყნეთის შტოდან სემინარიის შენობამდე იქნას გაგრძელებულიო. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა უსახელო საზოგადოებას გადასცა.

**✦ მიწის ძვრა.** ტფილის საფიზიკო ობსერვატორიის სეისმოსგრაფმა 8 მაისს დილის 10 საათსა და 14 წუთზე მიწის ძვრა აღნიშნა.

**✦ ა. ჩერქეზიშვილის მკვლელი.** 6 ივნისს პაულუჩის ქუჩაზე მოკლულის ალექსანდრე ჩერქეზიშვილის მკვლელი აღმოჩნდა ბალდასარ გეგეჩიანცი, რომელსაც მეტ სახელად ბახშოს ეძახიან და რომელიც უსაქმოდ დაეხეტებოდა. გეგეიანცი დააპატიმრეს პოლიციის მე 7 ნაწილის მოხელეებმა. მკვლელობის დღეს გეგეიანცს ჩერქეზიშვილთან ერთად პოლიციის მე-6 ნაწილში მირზოევის დუქანში უსადილნია. მკვლელობა გეგეიანცს შურის ძიებით ჩაუდენია. გეგეიანცს აღმოაჩნდა ორი ხანჯალი, ბებუთი, საპარსი და ორი ფოტოგრაფიული სურათი შეიარაღებულ ჯგუფებისა.

**✦ ახალი კლუბი.** დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში 9 ივნისს საღამოთი მოხდა ახალ კლუბის წევრთა კრება. კრებამ მიიღო ახალი წევრები. ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რამ შეაფერხა კლუბის ფაქტიურად განხორციელება. როგორც გამოირკვა, პირველი მიზეზი, რასაკვირველია, დაუდევრობა ყოფილა, მერე ძველ საბჭოს აზრადა ჰქონია „დიდებულად და ბრწყინვალედ" მოეწყო საქმე, რასაც ბევრი ფული უნდოდა. რაკი დიდი თანხა ვერ უშოვნიათ, საქმისათვის თითქმის თავი მიუნებებიათ. სხდომაზე უმრავლესობამ სთქვა, როცა ფული არ არის, საქმე პატარიდან უნდა დაიწყოს. კრებამ დაადგინა, კლუბი გაიხსნას, რამდენი წევრიც უნდა ჩაეწეროს. ამ საღამოს კრება დასრულდა ამით. შემდეგი კრება მოხდება კვირას, 14 ივნისს, სამეურნეო ბანკის სადგომში. უნდა აირჩიონ მამასახლისები და ახალი წევრები.

**✦ შემოწირულება.** წ.-კ. სა-

ზოგადოების მთავარმა გამგეობამ ამ დღეებში მიიღო ბ-ნ ისონ ლორთქიფან-ძისაგან ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა მიერ შემოწირული 296 მან. 16 კაპ. ამ ფულიდან 142 მან. 85 კ. შეწირულია ილია ჭავჭავაძის, ხოლო 153 მან. 31 კაპ. აკაკი წერეთლის ფონდების გასაძლიერებლად.

✦ **გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულნი.** წელს ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზია დაამთავრა 96 ყმაწვილმა. აქედან ქართველი ოცდაათია: ანჩაბაძე ვალერიან, ანჩაბაძე ვიანორ (ოქროს მედალი), აბულაძე გიორგი (ოქროს მედალი გიმნასტიკაში), ბახტაძე ვლადიმერ (ვერცხლის მედალი), ვაჩნაძე დავით (ვერცხლის მედალი), გრუმყრელი ნიკოლოზ (ოქროს ჟეტონი გიმ.), გამდლიშვილი გიორგი, დემუროვი ივანე, ჯუმუხაძე ანტონ (ოქროს მედალი), ზედგინიძე ვახტანგ, კაპანაძე ქრისტეფ., ქარუმიძე პეტრე (ვერცხლის მედალი), ქიქოძე დავითი, ქუჯიაშვილი ალექსანდრე, ფარესიშვილი ნიკოლოზ (ოქროს მედალი გიმ.), ლოლაძე პეტრე (ვერცხლის მედალი), მაჰარაშვილი დავითი, ცაველაძე დავითი (ვერცხლის მედალი), მენთეშაშვილი ვლადიმ. (ოქროს მედალი), ტატიშვილი შალვა, ხერხეულიძე გიორგი, ციტლანაძე ივანე, წულაია ისონ, ჩიქოვანი მიხეილ, ერისთავი ლეონიდ, სიმონოვი იოსებ (ვერცხლის მედალი), შერვაშიძე გიორგი, შერვაშიძე კადირ (აჭარელი მაჰმადიანი ქართველი), ბერძენიშვილი სიმონი, გოკიელოვი ნიკოლოზ (ვერცხლის მედალი).

✦ **სხდომა.** დღეს, 11 ივნისს, საღამოსთვის დანიშნულია სხდომა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობისა. გამგეობა განიხილავს მოხსენებებს საზოგადოების სკოლების მდგომარეობის შესახებ.

✦ **ტფილისის მაზრის უფროსი.** ტფ. მაზრის უფროსად კ. შანშიევის მაგიერ ინიშნება პოდპოლკოვნიკი ბობროვსკი. შანშიევს საგუბერნიო გამგეობის წევრად ნიშნავენ (ზ).

✦ თელავის ქუჩაზე მცხოვრებ დავით წიკლაურს 9 ივნისს ჩხუბი მოსვლია ცოლთან. ქმარს დაუწყია ცემა. ცოლის მარიამის ყვირილზე შევარდნილა მისი ძმა ივანე კენჭაძე და გაშველება დაუწყია. წიკლაურს დანით 12-დგან დაუჭრია ცოლის ძმა და გაქცეულა. დაჭრილი კენჭაძე საავადმყოფოში გაგზავნეს. წიკლაური იპოვნეს და დაპატიმრეს.

✦ 8 ივნისს ღამე კახეთის მოედანზე დააპატიმრეს სოფელ მარტყოფის მცხოვრები პეტრე ივანაშვილი, რომელსაც ძარცვა-გლეჯა ჰბრალდება და ორჯელ ყოფილა კიდეც დაპატიმრებული. ივანაშვილს აღმოაჩნდა ხანჯალი.

✦ 8 ივნისს ბებლიაროვის ქუჩაზე პოლიციის მე-7 ნაწილის მოხელეებმა დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ბაგრატ კოტენჯიანცი.

✦ 9 ივნისს ნაძალადევში დააპატიმრეს 2 უპასპორტო კაცი.

✦ 5 ივნისს ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრებმა ბებია ქალმა ანნა ოჯანეზოვისამ თავი მოიწამლა რაღაც წამლით. ოჯანეზოვისა მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭომ შესაძლოდ სცნო ხორცის ნიხრი ერთის კაპეიკით შემცირებინა. ამ გვარად, 8 ივნისიდან ხორცი უნდა იყიდებოდეს: მორეკილ საქონლის პირველი ხარისხისა გირვანქა 14 კ., მეორე ხარისხისა—13 კაპ.; ადგილობრივ საქონლის პირველი ხარისხისა—12 კ., მეორე ხარისხისა—11 კ.; ძუძუმწოვარა ხბოს ხორცი—15 კ.; ცხვრისა და მოზრდილ ხბოს ხორცი—14 კ.; ღორის ხორცი—13 კაპ, კამეჩის ხორცი—10 კ. და სუკი 22 კაპ. გირვანქა.

✦ **დადგენილება ხორცის შესახებ.** ქალის გამგეობამ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, წინადადება მისცა ქალაქის ბეითალს—თვალ-ყური ადევნოს, რომ ქალაქის საყასბოზე არ იკვლებოდეს ავადმყოფი და ძლიერ გამხდარი საქონელი და საყასბოდან ქალაქში ურემებით წამოღებული ხორცი სუფთა ტილოებით იყოს დაფარული და მტვერი არ ეყრებოდეს. მასვე დაევალა—შეადგინოს და დაბეჭდინოს სია საქონლის იმ ნაწილებისა, რომელიც უნდა იყიდებოდეს პირველი ხარისხის ხორცად, მეორე ხარისხად, და სხვა ამგვარი სიები უნდა გაეკრას საყასბოებსა და ქუჩებშიაც მცხოვრებთა საყურადღებოდ.

✦ **შენობა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისთვის.** ტფილისიდან ჩამოვიდა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის წარმომადგენელი, რომელიც ათვალიერებს სახლებს ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის. დაათვალიერა, სხვათა შორის, სვიმონოვის შენობა, ტფილისის ქუჩაზე, გოკიელოვის შენობა, გიმნაზიის ქუჩაზე, და საურთიერთო ბანკის შენობა, პუშკინის ქუჩაზე, სადაც ამ ჟამად ქალაქის გამგეობაა მოთავსებული. ორს უკანასკნელ შენობას, რომელიც შუაგულს ქალაქში, ძლიერ მოხერხებული ადგილი უჭირავს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის.

✦ **უარი ვლ. ალექსი-მესხიშვილისაგან.** მსახიობმა ვ. ს. ალექსი-მესხიშვილს უარი ეთქვა ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობისათვის, რომელიც სთხოვდა ქუთაისის დრამატიულ დასის რეჟისორობას. სხვებთანა ვერ პირობით შეკრულიო. როგორც გავიგეთ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ვალერიან გუნია მოიწვიოს რეჟისორად.

✦ **ფერეიდნელი ქართველები.** ტფილისიდან ჩამოსული ფერეიდნელი ქართველები, ხატიაშვილები და მაყაშვილი 9 ივნისს ჭიათურის დასათვალიერებლად წავიდნენ. ჭიათურიდან ისინი წავლენ ბათომისა და ფოთის დასათვალიერებლად.

✦ სამთო ინჟენერმა ი. ი. დადიანმა და ინჟენერ-მექანიკოსმა კანცელმა წინადადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, მიეცეს მათ კონცესია ქუთაისში წყლისაყვანის მოწყობისა, დაახლოვებით, შემდეგის პირობით: კონცესიის ვადა უნდა იყოს 35 წელიწადი; 35 წლის შემდეგ მთელი წყლისაყვანი უნდა გადაეცეს ქალაქს სრულ საკუთრებად; ოცი წლის შემდეგ ქალაქს ნება ეძლევა გამოისყიდოს წყლისაყვანი; მუშაობის დაწყებიდან წყლისაყვანი უნდა გაკეთდეს 18 თვის განმავლობაში; ქალაქმა უსასყიდლოდ უნდა დაუთმოს კონცესიონერს წყლისაყვანის შენობებისთვის საჭირო ადგილი; ყოველს 50 საჟენზე უნდა გაკეთდეს ცეცხლის საქრობი კრანები; მცხოვრებნი თითო ვედრო წყალში გადიხდიან $^{1}/_{5}$ კაპ. სატუსაღოებსა და ქალაქის საავადმყოფოებს წყალი მიეცემათ ვედრო $^{1}/_{10}$ კაპ. ქუჩების მოსარწყავად ქალაქს უფასოდ მიეცემა დღე-ღამეში 25,000 ვედრო წყალი; დახარჯულ ფულიდან 7%-ზე რაც მეტი წმინდა მოგება დარჩება კონცესიონერებს, ქალაქს მიეცემა პირველ ხუთი წლის განმავლობაში 6%, შემდეგ კი, კონცესიის ვადის გათავებამდის, 10%. ინჟენერ კანცელს გაუმართავს წყლისაყვანი გროზნოსა და არმავირში.

# ოსმალეთი

**ბრძოლა რეაქციასთან.**

ქალ. დამასკის მოხელეებმა, სტამბოლიდან მიღებულ ბრძანების თანახმად, ჩხრეკა ჩამოართვეს „იტიხად-მუხამედი“-ს („მაჰმადიანთა კავშირი“) რეაქციონურ კავშირის მეთაურებს. უმთავრესი მიზეზი ამ ჩხრეკის ჩამორთმევისა ისაა, რომ დამასკელ რეაქციონერებს აბდულ-ჰამიდისთვის გაეგზავნათ დეპეშა, რომელშიაც არწმუნებდნენ თურმე ტახტიდან ჩამოგდებულ სულთანს, რომ პირველ ბრძანებისამებრ შენს დასაცველად 90,000 კაცი დადგება თოფ ქვეშაო. ხმა დადის, რომ ქალ. დამასკშიაც სამხედრო წესებს შემოიღებენ მალეო.

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა 43 თავისი ერთგული სამღვდელო პირი გაგზავნა რეაქციონურ ქალ. მექაში იქაურ რეაქციონერების დასამშვიდებლად.

**ილდიზის ქონების გაყიდვა.**

ამ დღეებში შეუდგნენ ილდიზის მეტ ქონებისა და აბდულ-ჰამიდის ცხენების გაყიდვას.

# სპარსეთის ამბები

**რუს-ყაზახების გაგზავნა სპარსეთში.**

„კასპი“-ს ატყობინებენ ასტარიდან: „ბაქოდან ჩამოსული ასი ყაზახი ლაბის ზოლკის 8 მაისს წავიდა ქალ. არდაბილში იქაურ რუსის კონსულის განკარგულებაში“.

**გალაშქრება თეირანზე.**

„რ. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან, 5 ივნის თარიღით: „აქ მიიღეს სენსაციონური ცნობა ისპაჰანიდან: ბახტიარების ხანი, სამსამუს-სალტანეს ძმა, რომელიც ამ ახლო ხანებში მოვიდა პარიზიდან, და ერთი სპარსელი ლიტერატორი სარდარასატი, რომელმაც ამას წინად გამოსცა ფრანგულ რომანების თარგმანი („მარგარიტა გოტიე“ და „სამი მუშკეტერი“), დიდ ჯარსა ჰკრებენ თეირანზე გასალაშქრებლად. მათ აზრად აქვთ მაჰის ტახტიდან ჩამოგდება და კაჯართა დინასტიის გაწყვეტაო.

იგითხეს და ეს ცნობა სწორე გამოდგა. დღეს რუსეთისა და ინგლისის საელჩოებმა ფიცხელი მიწერ-მოწერა გაუგზავნეს ისპაჰანის კონსულებს, ურჩიეთ სარდარასადს თავის განზრახვაზე ხელი აიღოსო“.

**მთავრობის შეშინება.**

იგივე კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან იმავე, 5 ივნისის თარიღით: „წუხანდელი ღამე შიშის თვალით გაათენეს თეირანში: აქ ხმა გავრცელდა, რომ კაზვინის რევოლიუციონერები თეირანს უახლოვდებიან, და იმ ყაზახების რაზმი, რომელიც კერეჯის ხიდზე (კაზვინ-თეირანის გზაზე) დგას, მათ დასახვედრად წავიდა და ყაზახთა ბრიგადაც საჩქაროდ ემზადება რევოლიუციონერების წინააღმდეგ გასალაშქრებლადო.

ეს ხმა გავრცელდა თურმე იმის გამო, რომ კაზვინში მოულოდნელად მოკლეს მთავრობის მომხრე ქურთების უფროსი ქანიხანი და იქაური რევოლიუციონერები ქალაქ გარედ გასულიყვნენ და იქ დაბანაკებულიყვნენ.

შეშინებულ მთავრობას ნამდვილად ებრძანებინა ყაზახთა ბრიგადისთვის, რომ იგი მომზადებულიყო გასალაშქრებლად, მაგრამ ბრიგადა ჯერ-ჯერობით არ გასულა თეირანიდან“.

# კრიტოსის საქმე

**ომის მოლოდინში.**

საბერძნეთის ჯარი ძლიერ აღელვებულია. აფიცრები თხოულობენ, რომ საბერძნეთის მთავრობამ უთუოდ შემოიერთოს კრიტოსი. ეშინიანთ, ვაი თუ ჯარი აჯანყდეს მეფისა და მთავრობის წინააღმდეგ, თუ კრიტოსი ისევ ოსმალეთის ხელში დარჩებაო.

8 ივნისს საბერძნეთის ფლოტმა სალამინის ნავთ-სადგურში დაიწყო სროლაში ვარჯიშობა.

არც თუ ოსმალეთის მთავრობაა ხის გულხელ-დაკრეფილი. მახმუდ-შევკეთ-ფაშამ საბერძნეთის საზღვარზე გაგზავნა სამხედრო მთავარ შტაბის უფროსი ალი-რიზა-ფაშა.

ქალ. სალონიკში ოსმალეთის პოლიცია საბერძნეთის ქვეშევრდომებს, რომლებსაც-კი სამუშაო არა აქვთ, ქალაქიდან ჰყრის და საბერძნეთში აბრუნებს.

ქალ. მონასტრის ქუჩებში ოსმალებმა გააკრეს პროკლამაციები, რომლებითაც მოიწვევენ ხალხს, ბოიკოტი გამოუცხადეთ ბერძენ ვაჭრებსაო.

ინგლისელმა ადმირალმა გემბლემა, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ მოიწვია თავის ფლოტის ინსტრუქტორად და უფროსად, გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას და სულთანს: „მე მხოლოდ ფლოტის ინსტრუქტორად-ღა დავრჩები და თუ საბერძნეთთან ომი დაიწყო, სულაც გადავდგები თანამდებობიდანო. ამბობენ, ინგლისის მთავრობას არ უნდა, რომ ომის დროს ოსმალეთის ფლოტის უფროსად ინგლისელი იყოსო.

ამ დღეებში ავსტრიის გემმა მანლიხერის სისტემის 5,000 თოფი მიუტანა კრიტოსელებს. ესენიც ბეჯითად ემზადებიან ასაჯანყებლად, თუ მათ კუნძულს არ შეუერთებენ საბერძნეთს.

**რას თხოულობენ ოსმალები.**

გაზ. „კურიერ დე ორიან“-ი, რომელსაც სტამბოლში სცემს ახალგაზრდა ოსმალელი დეპუტატი ტევფიკ-ებუზია სწერს, რომ ოსმალები უმთავრესად შემდეგს თხოულობენ კრიტოსის საქმის მოსაწესრიგებლად:

კრიტოსი ავტონომიური ოლქი უნდა იყოს სულთნის უზენაეს ხელმწიფების ქვეშ; კუნძულის ეხლანდელი უმაღლესი კომისარი პოლკოვნიკი დაიმისი უნდა გადადგეს თანამდებობიდან; კრიტოსის გუბერნატორად შეიძლება იყოს ქრისტიანი, კრიტოსელი, გინდ ნეიტრალურ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მაგრამ არა დროს არა საბერძნეთის ქვეშევრდომი. სუდის ციხეში (კრიტოსზეა) უნდა ჩადგეს ოსმალეთის ჯარის რაზმი, ხოლო სუდის ნავთსადგური უნდა გადიქცეს ოსმალეთის ფლოტის სადგომად. ქრისტიანებსა და მუსულმანებს კუნძულზე თანასწორი უფლება უნდა მიეცეთ; მუსულმანთა სიცოცხლე, სახელი და ქონება უნდა მტკიცედ უზრუნველ-ყოფილ იქნას.

**ევროპის ჯარი კრიტოსზე.**

როგორც ვიცით, ამ ჟამად ოსმალეთის მთავრობას მოლაპარაკება აქვს გამართული კრიტოსის მფარველ სახელმწიფოებთან, რომ მათ თავიანთი ჯარი არ გაიყვანონ კუნძულიდან. კრიტოსზე სახელმწიფოებს ჰყავთ: საფრანგეთს—500 ჯარისკაცი, იტალიას—500, ინგლისს 500 და რუსეთსაც 500. სულ 2,000 ჯარის-კაცი. თითონ კრიტოსის სამხედრო ძალას შეადგენს—1200 ჟანდარმი 37 აფიცრით და 3,000 მილიციონერი. ჟანდარმები, მილიციონერები და მათი აფიცრები—თითქმის სულ ბერძნები არიან. სახელმწიფოების ჯარი პირობებისამებრ უნდა გავიდეს მიმდინარე ივნისის გასულს.

**რუსეთის პასუხი**

ვენური გაზ. „ნოიე ფრ. პრესე“ იუწყება: რუსეთის მთავრობამ უპასუხა ოსმალეთს, რომ კუნძულ კრიტოსზე ჯარის დატოვება შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოები დაჰპირდნენ კრიტოსელებს, რომ 1909 წლის ივნისის გასულს ჯარს უთუოდ გაიყვანენ კუნძულიდანო.

**ოსმალეთი მართალია.**

ცნობილი რუსის მწერალი ბრიანჩანინოვი ამტკიცებს გაზ. „რეჩ“-ში, რომ ოსმალეთი ცამდე მართალია კრიტოსის საქმეში და მისი სამართლიანი თხოვნა—კუნძულზე ევროპის ჯარის დატოვება—უნდა დაკმაყოფილებულ იქმნასო. იგი სწერს:

„სულ ორიოდე კვირაღა დარჩა იმ საბედისწერო წამამდე, როდესაც ევროპის ჯარმა უნდა მიატოვოს კუნძული კრიტოსი; ევროპის დიპლომატიას კი ჯერაც არა დაუდგენია-რა ამ საქმის თაობაზე, თუმცა თუ კრიტოსიდან ჯარის გაყვანა მოასწავებს ამ კუნძულის საბერძნეთთან შეერთებას და მაშასადამე საბერძნეთ-ოსმალეთის მეორე ომის დაწყებასაც. დიპლომატიურ გაჭიანურებულ მიწერ-მოწერის ამბავი რომ ვიცით, აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ საბერძნეთიცა და ოსმალეთიც იარაღს ისხამენ და აშკარად აცხადებენ, რომ შეიძლება ომი მოხდესო. მაგრამ ამითაც ვერ შეაშინებენ ზოგიერთ სახელმწიფოს დიპლომატიას: იგი დღესაც დარწმუნებულია, რომ ისტორიული ამბები მის ნებაზე ხდება. რუსის დიპლომატიამ ამ საქმეშიაც გამოიჩინა თავისი ჩვეულებრივი მცონარობა, მძინარობა და ორჭოფობა. ჯერ კიდევ წარსულ მარტის გასულს ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ოთხ მფარველ სახელმწიფოს: სანამ ოსმალეთი და სახელმწიფოები როგორმე შეთანხმდებიან კრიტოსის საქმის თაობაზე, სახელმწიფოთა ჯარი დარჩეს ამ კუნძულზეო. რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ჯერაც არ მიუცია პასუხი ოსმალეთის ასეთს ცხად და მარტივ კითხვაზე. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს საქმე ნათელი და მარტივია იმათთვის, ვისაც ჰსურს მის სინიდისიერად და სამართლიანად გადაწყვეტა: ოსმალეთი იყო და დარჩა კრიტოსის უზენაეს მფლობელად. ეს მტკიცედ აღიარა ყველა სახელმწიფომ და მათ შორის თითონ საბერძნეთმაც, რომელიც მრავალ დამარცხების შემდეგ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო... ახალ ოსმალეთის მთავრობა სულ სხვა თვალით უცქერის თავის სახელმწიფო ღირსებას, ვიდრე ძველი სულთანი. ახალგაზდა ოსმალოთა მთავრობის [illegible] კვევაზე დათანხმება მოასწავებს როგორც [illegible] ლების სიკვდილს, ისე ოსმალეთის არსებობის მოსპობას ევროპაში, რადგან ეს თანხმობა დაუყოვნებლივ გამოიწვევს მუსულმანთა მხრივ რევოლიუციას, ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტას და სახელმწიფოთა ოსმალეთის საქმეებში ჩარევას. ამიტომ ახალ ოსმალეთის მთავრობამ დროზე მიმართა მფარველ სახელმწიფოებს წინადადებით: კრიტოსის მდგომარეობის მოწესრიგებაზე მოლაპარაკება გავმართოთ, ხოლო ჯერ-ჯერობით თქვენს ჯარს ნუ გაიყვანთ კუნძულიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იქ იმ წამსვე მოგვიხდება ოსმალეთის ჯარის ჩაყენება, რაც აუცილებლად გამოიწვევს კრიტოსელების აჯანყებასო. ოსმალეთის მთავრობის ასეთი წინადადება სასახელოა მისთვის და ცხადად გვიმტკიცებს როგორც მის ზომიერებას, ისე მის მშვიდობის მოყვარეობას, საიდგან ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ოსმალეთი მეორედაც, ისე როგორც პირველ ომის დროს, ადვილად დამარცხებს ბერძნებს, თუ, რასაკვირველია, ბერძნებს არ მოეხმარებიან მოკავშირეები ჩრდილოეთ-დასავლეთიდან (ავსტრია და გერმანია), რომლებიც სისტემატიურად და მხნედ გზას იკაფავენ ბალკანეთისკენ და ნიადაგს იმზადებენ იქაურ საქმეებში ჩასარევად. თუ რუსეთის მთავრობის თანაგრძნობა ოსმალეთის განახლებისადმი ცალიერი ლათაია არ არის, ისე როგორც ბევრი მისი სხვა ლათაია, მაშინ იგი უთუოდ დიდის თანაგრძნობით უნდა დათანხმდეს ოსმალეთის წინადადებას. ინგლისი დიდი ხანია დადგა ამ სწორე პოზიციაზე. გერმანიასაც დიდი ხანია ამორჩეული აქვს მკაფიო მიზანი: გერმანელების ბატონობა ბალკანეთსა და ოსმალეთში...

ოსმალები აწინდელ ფსიხოლოგიურ მომენტში არაფრის გულისთვის არ დასთმობენ კრიტოსს. მართალია მათ გულით უნდათ მშვიდობიანობა, მაგრამ კრიტოსის გულისთვის მაინც გაშმაგებით დაიწყებენ ომსა: რადგან მათთვის თითონ კუნძულს-კი-არა, სახელმწიფო ღირსების დაცვას აქვს მნიშვნელობა. ამიტომ, სიმართლეზეც რომ არა ვსთქვათ-რა, რადგან იგი მთლად ოსმალების მხარესაა, უბრალო ანგარიშიც მოითხოვს, რომ ყველამ, ვისაც-კი მშვიდობიანობა სწადიან და გონება მთლად არ დაჰკარგვია, უნდა მოითხოვოს, რომ კრიტოსზე ძველი წესები დარჩეს, სანამ სახელმწიფოები ოსმალეთთან შეთანხმებით არ მოაწესრიგებენ კუნძულის მდგომარეობას. ხოლო ისინი, ვინც ბერძნებს აქეზებენ, ან ბატონ იზვოლსკივით ყოყმანობენ, ისინი მორიგებას-კი არა, ახალ კრიზისს ამზადებენ, რომლის დროსაც რუსეთი ჩვეულებრივ იზარალებს როგორც ქონებრივად, ისე ზნეობრივად“.

# ღია წერილი

**ბ-ნ ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარს.**

რადგან თქვენთან ვერ გასჭრა ვერც მრავალ გზის შინაურულმა მოლაპარაკებამ, ვერც წერილობითი მიმართვამ, ვერც სხვა და სხვა საპატიო პირის მოციქულობამ, ამიტომ იძულებული ვარ მოგმართოთ გაზეთით. თქვენ, როგორც „ცნობის ფურცლის“ ყოფილი გამომცემელი, ვალდებული ხართ გასწოროთ ანგარიში იმ ფულისა, რომელიც რედაქციაში შეიკრიბა გადამწვარ გურულთა სასარგებლოდ. როგორც მოგეხსენებათ, ნაწილი თანხისა გასასტუმრებელია. ერთი წელიწადია მოლაპარაკებაა ამაზე, მაგრამ დღემდე საქმე ვერ დაბოლოვებულა. დაჟინებით გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენია დარჩენილი და როდის იქნება გასტუმრებული.

ვთხოვ ადგილობრივ გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

თქვენი კარგად ნაცნობი **ვექილი.**

ამრევი რუხი ფერი ადევს ამ მინდორს, მაგრამ ამ ერთი ბეწო ცვლილებამაც ცოტაოდენად წამახალისა, სახეზე ღიმმა გადამირბინა და მინდორს დავაცქერდი. შორს მოთეთრო წერტილები გავარჩიე. ეჰ! დალახვრა ღმერთმა, იქაც ქვები ყოფილა, გამიელვა თავში. მაგრამ ამ წერტილებს მოძრაობა შეეტყო. ბედზე ლიანდაგმაც იქითკენ გაუხვია, წერტილები გადიდნენ და ჩქარა ჩემ თვალ-წინ გაიშალა მშვენიერი ცხვრის ფარა, რომელსაც დაგლეჯილ ტანისამოსში შემოსილი მწყემსი დარაჯობდა. მწყემსის და ცხვრების ყურადღებას ახლა ჩვენი ჰქა-ქუხილით მიმქროლავი მატარებელი იქცევდა. ყველანი ჩვენ შემოგვცქეროდნენ, თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური ცხვრები უფრო ჰკვიანები გამოდგნენ, ვიდრე ტაშირის მათი ამხანაგები და მწყემსსაც მათი ასალაგმავი მათრახი არ გააჩნდა. აი თურმე რა არჩენს აქაურ კაცს. გამახსენდა, რომ ცხვარს ასეთ ხრიოკზე ამოსული ბალახი ძლიერ უყვარს. მოგახსენებენ, რომ კასტილიის ზეგანიც, ესპანიაში, ასეთის ხრიოკებისაგან შესდგება, მაგრამ იგი ძვირფას მატყლოვან მერინოსის ჯიშის ცხვრის სამშობლოდ ითვლება.

ამ ზეგანის აღმოსავლეთით თოვლით შელესილი ალაგეზია ამართული.

აი მივაღწიეთ სადგურ არაქსს, და ბუნებას ისევ ცვლილება დაეტყო. თვალ წინ გადაიშალა უზარმაზარი ველი, მდინარე არეზის ნაპირზე გაჭიმული. ამ დაბლობს სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე დაახლოვებით 160 ვერსი იქნება, ხოლო სიგანე მაქსიმუმი ეჩმიაძინთან 50 ვერსი და მინიმუმი რუსეთ სპარსეთის საზღვართან, არარატის აღმოსავლეთით, ათი—ვერსი. ზოგან კი, როგორც მაგალითად, ნახიჩევანის ჩრდილოეთით, მთის კალთების ნაწყვეტები არეზის მარცხენა ნაპირამდისაც კი შეჭრილა, მაგრამ ეს გორაკები ერთი რომ მაღალი არ არის და მეორეც ისეა დასერილი ხევ-ველებით, რომ ჩვენც საერთო დაბლობს ვაკუთნებთ.

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი განვლილ ადგილებს. კუმისიდან (ტფილისის მახლობლად) დაწყებული ადგილი თან და თან მაღლდება დიდი გვირაბის შუაგულამდე 160 ვერსის მანძილზე. კუმისი, მაგალითად, 229 საჟენის სიმაღლეზეა ზღვის ზედა პირზე, ხოლო დიდი გვირაბი, ყარაღაჯის მთის ქვეშ, როგორც ვთქვით, 840 საჟენის სიმაღლეზე. მაშასადამე დიდი გვირაბი კუმისზე 611 საჟენით მაღალია თითქმის სამჯერ მეტი. ეს ორი სიმაღლე ერთ ადგილას რომ ავმართოთ, განსაცვიფრებელი უფრსკული წარმოგვიდგება ერთიდან მეორემდე, მაგრამ 160 ვერსი სიგრძე ისე ათანდათანებს ამ განსხვავებას, რომ ორთქლმავალს, თუმცა კვნესით, მაგრამ მაინც თავისუფლად მიაქვს ათობით ბარგით, საქონლით და ადამიანით დატვირთული მოძრავი სახლები და მიაქვს საათში 25 ვერსის სიჩქარით. გვირაბის შუაგულიდან კი, როგორც ვთქვით, დაღმართთან გვაქვს საქმე და 840 საჟენი სადგურ არაქსთან 422 საჟენამდე ეშვება. გვირაბიდან არაქსამდე კი 114 ვერსია.

ამ რიგად საერთოდ იმ ამიერკავკასიას, რომელიც მცირე კავკასს უჭირავს და რომელიც ათას-ფრად არის დასერილი სხვა და სხვა ზომის, სიმაღლის, სახის და აღმონაცენის მთით განი 274 ვერსამდე ექნება.

**უიარაღო.**

## წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(დასასრული *)

4000 მანეთი, რომელიც სკოლას თავად-აზნაურობისაგან ეძლევა, მეტად მცირე თანხაა. მეტად ძნელია ამ ფულით სკოლის შენახვაც და მეურნეობის რიგიანად წარმოებაც. ამ ფულის სიმცირეს ყველა უფრო ნათლად წარმოიდგენს, თუ მხედველობაში მიიღებს, რომ თითქმის ყოველ წელს რაიმე ახალ შენობაზე მუშაობა სწარმოებს და ამის გამო სკოლა დიდ ხარჯში ვარდება. მაგრამ, გამოტეხით უნდა სთქვას კაცმა, იმ ფულით, რომელიც დღეს წინამძღვარიანთ-კარის სკოლაზე იხარჯება, უფრო ნაყოფიერი მუშაობა შეიძლებოდა, თუ სკოლის მართვა-გამგეობის საქმეში უთავბოლობა არ იქნე'ა გამეფებული. მეურნეობა უგეგმოდ, უსისტემოდ სწარმოებს. ყოველი სპეციალისტი სცდილობს, ყველაფერი თავის გემოვნებაზე გადააკეთოს და ამიტომ ხშირად სპობს თავის წინამოადგილის ნამოქმედარს. გამოანგარიშებული, აწონ-დაწონილი და გათვალისწინებული არა აქვთ, რის გაკეთება შეუძლიანთ. ყველაფერს ეჭიდებიან: მებაღეობასაც, მევენახეობასაც, მეღვინეობასაც, მეფუტკრეობასაც, მეაბრეშუმეობასაც და კიდევ სხვა რამეებსაც; ვითომ სხვა და სხვა ხელობასაც ასწავლიან; ახალ შენობებსაც აგებენ. მაგრამ რადგან საკმაო სახსარი და ძალა არ შესწევთ, ამიტომ ვერც ერთ საქმეს რიგიანად ვერ აგვირგვინებენ.

სკოლის ჭირისუფალნი შემდეგის პრინციპით ხელმძღვანელობენ: „ყველაფერი მოწაფეთა ხელით უნდა კეთდებოდესო". მშვენიერი პრინციპია, თუ მას ისე გავიგებთ, რომ სამეურნეო სკოლის მოწაფე არავითარ შრომას არ უნდა თაკილობდეს. მაგრამ თუ ამ პრინციპს უსახსრობის ნაკარნახევი მოსაზრებაც შიგ ჩაეწნა და მოიწადინეს ყველაფრის გაკეთება **მხოლოდ** მოწაფეთა მცირე ძალ-ღონით (ნამდვილად სწორედ ასეა), მაშინ, რა თქმა უნდა, ერთს წელს ვაი-ვაგლახით გაკეთებული მეორე წელსვე უსათუოდ მოისპობა, როგორც ბ-მა მაზრელმა აღნიშნა, რადგან ფიზიკურად შეძლება არ ექნებათ დროზე საქმეს უპატრონონ. ვაი იმ სპეციალისტის ბრალი, რომელიც ამ პრინციპს გადუხვევს და მეტის-მეტ გაჭირვების დროს ფასიანი მუშა-ხელს წაიშველიებს (რაც ხშირად ხდება, რადგან უამისობა ყოვლად შეუძლებელია). თავისი საკუთარი ფული უნდა დაურიგოს მუშებს და თითონკი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიიღოს დანახარჯი. და თუ თითონ საკუთარი ფულს არ ექნება მუშტრის დროზე დასაკმაყოფილებლად, მაშინ სწორედ აუტანელს მდგომარეობაში ვარდება: მუშები აწუხებენ, თავიანთ ხელ-ფასს თხოულობენ, ზევიდან კი ფულის მოთხოვნაზე ეუბნებიან: „მოითმინონ, ფული არ არისო". მუშებს დიდი წვალება და ხვეწნა—მუდარა სჭირდებათ, რომ თავიანთი დღიური ხელფასი რამდენიმე თვის შემდეგ მიიღონ ხოლმე. აბა ახეთს პირობებში სპეციალისტს როგორ შეუძლიან მეურნეობის საქმე რიგიანად დააყენოს? ამიტომაც არის ცოცხალი ღობე მხოლოდ შენობის წინ გაკეთებული (საკუთარ ძალ-ღონით მეტის გაკეთება ვერ მოუხერხებიათ); ამიტომაც არის, რომ ვენახს მხოლოდ გზის პირებზე ჰბარავენ და სთოხნიან...

სხვა მასწავლებლები რაღას აკეთებენ? ეეე... მათ ვინ რასა ჰკითხავს, რო რაიმე გავლენა იქონიონ სკოლის საქმეებზე. მართალია წესდების თანახმად, სკოლის საქმეებს უნდა განაგებდეს პედაგოგიური საბჭო, რომლის თავჯდომარედაც უნდა იყოს მზრუნველი და წევრებად მასწავლებლები, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი. ნამდვილად კი არა თუ საზოგადო საგნების მასწავლებლებს არა აქვთ არავითარი ხმა და შეძლება რაიმე გავლენა იქონიონ მეურნეობის უკეთ მოწყობაზე, თვით სპეციალისტებიც იძულებულნი არიან ხშირად მხოლოდ აღმსრულებელნი იყვნენ ტფილისიდან მიღებულ ბრძანებისა. ყოველსავე ინიციატივას სპეციალისტისას დაუძლეველი დაბრკოლება ჰხვდება წინ უსახსრობაში. თუმცა აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ სკოლისთვის არა-საჭირო საქმეებისთვის, თუ ინიციატივა სხვა მხრიდან მომდინარეობს, საიდანღაც სახსარიც გამოიძებნება ხოლმე. რომ სიცრუვე არავინ შეგვწამოს, ერთს ნამდვილად მომხდარს ამბავს მოგითხრობთ.

ვინც ამ სკოლის ეზოს დაათვალიერებს, ის ახალ შენობის იქით უეჭველად შენიშნავს ვეებერთელა ორმოს. საგულისხმიეროა და დამახასიათებელი ამ ორმოს ისტორია. ის მოუთხრევინებიათ ერთს სკოლასთან დაახლოვებულის არქიტექტორის რჩევით. უნდოდათ თურმე შადრევანი გაეკეთებინათ. ეს ისეთ დროს მომხდარა, როდესაც ვენახს გათოხნა სჭირვებია და უფულობისა გამო ვერ გაუთოხნიათ. ვინ იტყვის, სკოლას რომ შადრევანი ჰქონდეს, კარგი არ არისო? მაგრამ ერთი მითხარით, რა დროს შადრევანებია, როდესაც სამეურნეო სკოლას გაუთოხნავად დარჩენილი ვენახი ელუპება? ეს ალბად მერე თითონაც შეუგნიათ და აკი თავიც მიუნებებიათ... 12 თუ 18 მანეთმა კი, ამ საქმეზე დახარჯულმა, თქვენი ჭირი წაიღო.

სკოლას უფულობისა გამო თავისი მეურნეობა რიგიანად ვერ მოუწყვია და ამავე დროს ახალ შენობების აგებას ეჭიდებიან. ვინ იტყვის, ვითომ კარგი არ იყოს შენობების გამრავლება? მაგრამ ერთი მითხარით, რა დროს ახალი შენობებია, როდესაც ძველები თავზე ენგრევათ და ყოველ ოთახში რამდენსამე ალაგას წვეთი ჩამოდის, რაიც წვიმის დროს შეუძლებელსა ჰხდის კლასში მეცადინეობას, რადგან შიგ მთელი ტბა დგება? რა დროს ახალი შენობებია, როდესაც სკოლას თავის ვენახისა და ბაღისათვის ხეირიანი ღობე ვერ შემოუვლია, რომ მთელი სოფლის ცხენებს შიგ არ ებუტრავნათ და ვაი-ვაგლახით ნაკეთები ვაზი და ხეხილი არ გაეოხრებინათ? რაში უნდა სკოლას შადრევანი, თუ ხშირად უსახსრობისა გამო თავის საკუთარ ტყიდან შეშა ვერ მოუტანია, რომ ზამთარში მოწაფეებს და მასწავლებლებს სიცივით არ ეკანკალნათ? რა ნაყოფი უნდა მოიტანოს მოწაფეთა სახელოსნოში მუშაობამ, როდესაც სახელოსნოს მუდამ აკლია საჭირო მასალა რომ მოწაფეებს შეეძლოთ ვარჯიშობა*).

აი მთავარი მიზეზი ამ სკოლის ჩამორჩენისა. ამიტომ არის, რომ მხოლოდ წერა-კითხვა რჩებათ აქ ნასწავლებს. ამიტომ გაურბიან მის სპეციალურ განყოფილებებს მოწაფენი, რაც ნათლადა სჩანს კურს დამთავრებულთა სიმცირისაგან. სკოლის მართვა-გამგეობის წესი ჰქმნის იმ ატმოსფერას, რომელიც აუტანელსა ჰხდის რიგიან მასწავლებელთა შრომას, და აკი გაურბიან კიდეც. გულის ტკენით ჰგრძნობს მასწავლებელი რომ ისიც პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, მაგრამ ამასთან ჰგრძნობს თავის უძლურებასაც და თავს მხოლოდ იმითი ინუგეშებს, რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ხდება ეს ყოველივე.

საჭიროა, ძალიან საჭირო, ქართველმა საზოგადოებამ ამ სკოლის მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს და ყოველი ღონე იღონოს იმის წარმატების გზაზე დასაყენებლად. საჭიროა, დაარსდეს ამ სკოლის მფარველი წრე (თუ იგი არ გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას), რომელიც კონტროლს გაუწევს იმის მოღვაწეობას და ნივთიერ სახსარს გამოუძებნის. ამასთან საჭიროა ძირიანად შეიცვალოს დღეს არსებული წესი ამ სკოლის მართვა-გამგეობისა, მასწავლებელთაც მიეცეთ ხმის უფლება სკოლის საქმეთა წარმოებაში. საჭიროა, შემუშავდეს რაიმე გეგმა და იმ გეგმის შესრულება დაევალოს ყველა სპეციალისტს. თორემ აბა რასა ჰგავს რო ერთის გაკეთებული მეორემ მოსპოს ხოლმე?

ვფიქრობთ, რომ მზრუნველი ამ სკოლისა, პატივცემული ი. ი. წინამძღვრიშვილი წინააღმდეგი არ იქნება ყველა ამისა.

წინამძღვრიანთ კარის სკოლის ყოფილი **მასწავლებელი**.

*) იხ. „დროება", N 125

*) რომ ყოველივე აქ ნათქვამი ხრული სიმართლეა და არა მოჭორილი, ან გაზვიადებული, ამის, დამტკიცება ადვილად შეიძლება.

## ანგარიში სეირნობა-ლატარიისა

3 მაისს «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» ხაზარეულოდ გამართულ სეირნობა-ლატარიის შემოსავალი და ხარჯი იყო.

შემოსავალი:

შესავლელ ბილეთების გაყიდვით 872 მ. 18 კ., ლატარიისა 950 მ. 90 კ., ბავშვების სათამაშოებისა 104 მ. 11 კ., ბუფეტისა 119 მ. 92 კ., შემოწირულებანი: (ი. მანთაშევისაგან 25 მ., როტინოვისაგან 5 მ.; ა. მდივნისაგან 4 მ., ქ. თულაშვილის მიერ შეგროვილი 1 მ. 30 კაპ., ეფ. მესხიშვილის მიერ შეკრებილი 1 მან. 60 კ., კნ. ქ. ვაჩნაძისაგან 5 მ., მ. ნაცვლიშვილისაგან 1 მ., ნ. ბოსტაშვილისაგან 1 მ., გ. ყარანგოზიშვილი 50 კ., ნ. გოგიტიძისაგან 1 მ., ნურიასაგან 2 მ., ანდრონიკაშვილისაგან 1 მ., კ. ვაჩნაძისაგან 1 მ., გ. გვაზავასაგან 3 მ., მელიასგან 50 კ., კნ. ამილახვარისაგან 5 მან , კნ. თუმანიშვილისაგან 5 მან.).

სულ 2110 მან. 1 კაპ.

ხარჯი:

ბაღის ქირა და ს. ხელმწიფო სამმართველოს 210 მ., მუსიკა 45 მ., მარკები 105 მ. 8 კ., ძროხა და ცხვარი 47 მ, სხვა და სხვა ნივთები ლატარიისთვის 49 მ. 90 კ., საზანდარი 16 მან., კარუსელი 18 მ. 90 კ., ბუფეტი 41 მ. 90 კ., შამპანიური 77 მ., სანთელი 1 მ. 50 კ., შაქარი 80 კ., ჩაი 1 მ. 20 კ., ყვა 1 მან. 20 კ., მაროჟნი 5 მ. 20 კ., ყინული და სანთელი 2 მ. 70 კ., განათება 33 მან., კონფეტი 21 მ. 50 კ., კანდიტერი 14 მ. 30 კაპ., განცხადება რუსულ გაზეთებში („ზაკავ.", ტიფ. ლისტ.", „კ ვკ.") 20 მ. 80 კ., აფიშების და ბილეთების დაბეჭდვა და გაკვრა აფიშებისა 29 მ. 50 კ., ტრამვაის განცხადება, ბილეთებისა დანომრვა და აკინძვა 19 მ. 90 კ., სხვა და სხვა წვრილის დაბეჭდა 15 მ. 20 კ., სალდათები და გოროდოვოები 22 მ., ბავშვების სათამაშოდ ტომრები, დროშები ჯოხებით და ასაცოცებელი 13 მ. 20 კ., საბავშვო საჩუქრები 10 მ., ჰურკლის ქირა 17 მ 75 კ., სტოლებია და სუფრების ქირა 16 მ. 80 კ., ხალიჩების ქირა და მიტან-მოტანა 11 მ. 40 კ., კალათები 14 მ., დურგლები 12 მ., კუმაჩი, წითელი ქაღალდი და ბილეთების რგოლები 15 მ. 16 კ., დროგები და მუშები ბარგის ჩასატან-ამოსატანად 8 მან., ვირების ჩხლებლელი 3 მან., თოკი და სხვა და სხვა წვრილმანი 34 მ. 82 კაპ.

სულ 954 მან. 51 კაპ. დარჩა წმინდა 1155 მან. 50 კაპ.

საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს სეირნობის გამგეს ქ-ნ ელ. ალ. ყაზბეგს და ყველა იმათ, რომელთაც შემოწირულობით თუ პირადის შრომით ხელი შეუწყეს სეირნობასა და ლატარიის მოწყობას.

## რუსეთი

✦ **სინოდის განკარგულება.** სინოდს დაუდგენია, პეტერბურგის უნივერსიტეტში აღარ მიიღოს ცოლიანი მღვდლები.

✦ **იუსკევიჩ-კრასოვსკი.** „რ. სლ."-ს კორესპონდენტს ხოდ. გასაუბრებია ქუთაიში იუსკევიჩ-კრასოვსკი. იუსკევიჩ-კრასოვსკის უთქვამს, ტყუილია, ვითომ მე რამე მონაწილეობა მიმეღოს გერცენშტეინის მკვლელობაში, მასვე უთქვამს, რომ ჩემი ბინა პოლიციამ იცის, მაისში კიდევაც გაჩხრიკეს ჩემი ბინაო. საინტერესო ის არის, რომ ადმინისტრაცია იუსკევიჩ-კრასოვსკის დაეძებს და აქამდის ვერ უპოვნია!!!

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 1, ეკატერინოსლავში 2, ოდესაში 1, ვარშავაში 2, პეტერბურგში 1, კამენეც-პოდოლსკში 1, რიგაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: რიგაში 1, ეკატერინოსლავში 3, ოდესაში 1, ლოდზში 1, კიევში 1, ვარშავაში 2 კაცი.

✦ **მოსკოვის სამხატვრო თეატრის შემოსავალი.** „რუს. სლ."-ს სიტყვით ამ დღეებში კრება ჰქონიათ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეპაიეებს. როგორც წარსულ სეზონის ანგარიშიდან გამოირკვეულა, თეატრს დიდი მოგება ჰქონია, კრებას დაუდგენია 40,000 მანეთი ვალში მისცეს, დანარჩენი ერთმანეთში გაიყონ. თითო მეპაიეს აუღია 130%. იმ მეპაიეებს, რომელთაც 5000 მანეთი ჰქონიათ შეტანილი რგებიათ 6,500 მანეთი.

✦ **ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლების კრება.** „ნ. რუს."-ში ვკითხულობთ: „სრულიად რუსეთის ქალაქების თვითმმართველობათა კრება მოხდება 1910 წლის ნოემბერში. ამ კრებაზე განიხილავენ ქალაქების თვითმმართველობის რეფორმის საკითხს. კრების განხილვის შემდეგ ამ საკითხს განსაკუთრებულად გადასცემენ სახელმწიფო სათათბიროს".

✦ **ტოლსტოი და სამღვდელოება.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება ამ რამდენისამე ხნის წინედ ზოგიერთ ქალაქის თვითმართველობებმა გადასწყვიტეს ტოლსტოის სახელობაზე ღარიბ მცხოვრებთათვის დაარსონ უფასო სასადილოები. სხვათა შორის ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა პეტერბურგის თვითმართველობამაც, რაც ძალიან აუხრულა. როდესაც ერთის უფასო სასადილოს გამგეს მოუნდომებია სასადილოს კურთხევა, მღვდლებისგან უარი მიუღია. მღვდლებს განუცხადებიათ, სასადილოს ტოლსტოის სახელი ჰქვიან და ვერ ვაკურთხებთო, ნუთუ ერქმევა ეს სახელი და დიდის სიამოვნებით ვაკურთხებთო!!

✦ **ხოლერა პეტერბურგში.** პეტერბურგში ხოლერა კვლავ გაძლიერდა. დღეში საშუალოდ 30 კაცამდის ხდება ავად. ქალაქის თვითმართველობის ყველა წევრები ამის გამო საზაფხულოდ პეტერბურგში რჩებიან.

ხოლერის დაწყებიდან აქნობამდის ხოლერით ავად გამხდარა 10545, გარდაცვლილა 4070, მორჩენილა 6364 კაცი.

✦ **თხოვნა.** ვ რშავის მაგისტრატის ზოგიერთ მოსამსახურეებს სახელმწიფო სათათბიროს პოლონეთის კოლოსთვის თხოვნა გამოუგზავნიათ: გვიშველეთ რამე, რადგან მაგისტრატის ზოგიერთ პირების ბოროტ-მოქმედება ჩვენ აღმოვაჩინეთ და ადმინისტრაციას ჩვენვე მიუთითეთ ამაზე (ეს ცნობა ჩვენ უკვე გვქონდა. როგორც ვიცით ვარშავის მაგისტრატის სარევიზიოდ პეტერბურგიდან მთელი კომისია გაიგზავნა), მაგრამ დანიშნულმა კომისიამ ვერა გააწყო რა და უმთავრესი ბოროტ-მოქმედნი ისევ მაგისტრატში სხედან. მაგისტრატის გამგე-პატრონი თავიანთ ხელქვეითებს აშინებენ და მათ ვერაფრის თქმა მოუხერხებიათ. მაგისტრატის გამგე—პატრონნი გვდევნიან და არ ვიცით რა მოგვეშველოსო.

## უცხოეთი

**იაპონიის წყალ-ქვეშ მოსიარულე ფლოტი.**

იაპონიას ამ ჟამად ჰყავს 40 წყალ ქვეშ მოსიარულე ნავი და ამ მოკლე ხანში ამ ნავებს კიდევ მოემატება 30. იაპონიის საზღვაო შტაბი მეტად სისტიკად სინჯავს ნავების მოქმედების დროს. ასე მაგალითად ამ ახლო ხანებში საზღვაო სამინისტროს წარუდგინეს 16 წყალ ქვეშ მოსიარულე ნავი, მაგრამ მათგან არც ერთი არ იყო მიღებული.

**იაპონიაში არ აუკრძალავთ ტოლსტოის თხზულება.**

ამას წინად რუსულ და უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა ცნობა, ვითომ იაპონიის მთავრობამ აკრძალა იაპონურად გადათარგმნილი ლ. ნ. ტოლსტოის თხზულებანი. ახლა ზოგიერთი გერმანული გაზეთი და უმთავრესად გაზ. „დი უმშაუ" ბეჯითად უარჰყოფენ ამ ცნობას: ეს ვიღაცის ოცნების ნაყოფიაო. პირიქით, წარსულ წლის დამლევს იაპონიის ტახტის მემკვიდრემ რამდენიმე ათასი ეკზემპლიარი დაბეჭდვინა ძვირფას ქაღალდზე ტოლსტოის განთქმული რომანი „ომი და ზავი" და საჩუქრად გაუგზავნა ჯარისა და ფლოტის აფიცერთა ყველა საკრებულოებს. (რ.).

**გერმანიის და რუსეთის იმპერატორის შეხვედრა.**

გერმანული ლიბერალური გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი შემდეგსა სწერს რუსეთის და გერმანიის იმპერატორების შეხვედრაზე: „რუსეთი ბოლოს დროს ინგლისს დაუმეგობრდა, მაგრამ ამ მეგობრობამ არავითარი სარგებლობა არ მოუტანა რუსეთს. სწორედ ამ წლის დამდეგს, ბალკანეთის კრიზისის დროს ცხადად დამტკიცდა ავსტრია-გერმანიის კავშირის ძლიერება და რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების სისუსტე. რუსეთს შეეშინდა განმარტოებისა და ამიტომ იგი ისევ შეეცადა გერმანიასთან დაახლოვებას. რუსეთის სურვილი სრულად ეთანხმება გერმანიისას, რადგან გერმანიას ინტერესიც მოითხოვს კეთილ მეზობლურ განწყობილებას რუსეთთან, რასაკვირველია იმდენად, რამდენადაც ეს საზარალო არ იქნება ჩვენის საკუთარ ინტერესებისათვის. რუსეთს ისეთი პოლიტიკური წესები აქვს, რომ მასთან დიდი მეგობრობა ჩვენ ხელს არ მოგვცემს. ჩვენის აზრით, იმპერატორების შეხვედრის მნიშვნელობას მეტად აზვიადებენ. რუსეთთან საკავშირო ხელშეკრულობაზე ხომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ასეთი კავშირი ბისმარკის დროსაც საეჭვო იყო, ეხლა ხომ მან სულ დაჰკარგა ფასი ჩვენ არ უღალატებთ ავსტრია უნგრეთთან კავშირს და ამავე დროს არც რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების დასუსტება გვწადიან. თუმცა იმპერატორების შეხვედრას მინისტრებიც დაესწრნენ და მათ შორის რუსეთის პირველი მინისტრი სტოლიპინიც. მაინც მას შედეგად როდი მოჰყვება ცვლილება ევროპის სახელმწიფოთა განწყობილებაში. რუსთ-ხელმწიფე მალე მიდის ინგლისის მეფისა, საფრანგეთის პრეზიდენტისა და იტალიის მეფის სანახავად. ჩვენ არ გვშურს ეს მეგობრობა, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ „ინგლისური გაზეთები, მით უმეტეს, რომ ეხლანდელმა შეხვედრამ დაგვიმტკიცა, რომ რუსეთი ერიდება ყველაფერს, რასაც გერმანიის წყენა შეუძლიან".


## განცხადებანი

ბალი-რესტორანი
◀ ამხანაგობის ▶
„იშუანე"-სი

სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სახელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.
(50—გაყ.—3)

◀ ძალიან იაფად ▶

იყიდება საბურთალოზე, ახალ ეკლესიის გვერდით მიწა გაშენებულ ბაღჩით და ხეხილით. შემოვლებული ეკლით 111 ოთხკუთხი საჟენი იყიდება 450 მანეთად. მალე ხიდიც გაკეთდება დიდუბიდან.

იკითხეთ იქვე ეკლესიის გალავანში
**ი. მუსხელიშვილი.** 5—286—4)

გაფრთხილება
დ. ზ. სარაჯიშვილისა
კანტორა ტფილისში.

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი"**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე"**. (20—234—13)

ბორჯომ-აბასთუმანი

ამით ეუწყება იმათ, ვინც აბასთუმანს მიდიან, რომ სადგურზე ბორჯომში არის მრავლად სხვა და სხვა ეტლი: 2, 3 და 4 ადგილიანი „კალიასკები", ლანდო, 4 და 6 ადგილიანი დახურული ეტლები, 2 და 3 ადგილიანი კარეტები, აგრეთვე დიდი ფურგონები ნივთებისთვის. ეტლების მიმოსვლა სწრაფი და შეუჩერებელი. ყოველ დღე დილ-დილობით გადის ვაგონიანი ომნიბუსები. ვინც ეტლს დეპეშით დაიჭერს, მას მატარებლის მისვლისათანავე აძლევენ ეტლს. დაწვრილებითი ცნობების გაგება 1 ივლისამდე ტფილისში, ბაქოს ქ., N 7. ზოლო ბორჯომში სადგურზე.
(6—1000—4)

პროვოდნიკის
1897 წ. 1888 1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
სადაწყობო სკლადი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
◆ იყიდება ნარდად და ცალობით: ◆

რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუვეტები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საგალანტერეიო საქონელი,
საშლელი რეზინი „სპილოს" მარკისას

ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი"-სა